ხელშეკრულება № 56
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

თბილისი 21 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლა, მისი დირექტორის **გულნაზი ხორბალაძის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს "სიბრძნის კარი " მისი დირექტორის ჯულიეტა ჭელიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი:

1.1 ხელშეკრულების

საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, ნაბეჭდი წიგნები, ბროშურები და საინფორმაციო ფურცლები (CPV 22100000) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად).

1.2 ხელშეკრულების ობიექტია შემდეგი დასახელების საქონელი

დასახელება	რაოდენობა და განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
გ დოჩანაშვილი-სამოსელი პირველი (CPV 22110000)	20 ც	24 ლარი	480 ლარი
		სულ	480 ლარი

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება:

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 480 (ოთხასოთხმოც) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია:

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი:

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, თოფურიას 12

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი 2016 წლის 30 დეკემბრამდე.

4.4 საქონლის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, სასაქონლო ანგარიშფაქტურას და სასაქონლო ზედნადებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი:

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.

-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

-მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

-გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას:

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 2016 30 დეკემბრამდე.

შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი:

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამი თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები:

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები:
14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშერებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ ქალაქ თბილისის №128
საჯარო სკოლა
მის.: ქ. თბილისი, თოფურიას 12
ტელეფონი: 232 83 60, 232 82 60
საიდენტიფიკაციო კოდი: 204859750
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს ვაკე-საბურთალოს ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
ა/ა: GE38LB0121191690252000

მიმწოდებელი:

შპს" სიბრძნის კარი "
მის.: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 2 კვ #63,კ 35
ტელეფონი: 2 945527
საიდენტიფიკაციო კოდი: 406045202
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს." საქართველოს ბანკი"
საბანკო კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE98BG0000000895307300

სკოლის დირექტორი
გულნაზ ხორბალაძე

დირექტორი
ჯულიეტა ჭელიძე

მიღება-ჩაბარების აქტი 93

ქ. თბილისი 22 12. 2016 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, სსიპ ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლა (შემსყიდველი) სკოლის დირექტორის გულნაზ ხორბალაძის სახით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „სიბრძნის კარი“ (მიმწოდებელი) დირექტორის ჯულიეტა ჭელიძის სახით ვადასტურებთ, რომ „მიმწოდებელმა“ განახორციელა №56 21.12.2016 წ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წიგნების შესყიდვა 480 (ოთხასოთხმოცი) ლარის ანაზღაურების სანაცვლოდ-მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ

შემსყიდველი:

სსიპ ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლა

მისამართი: ქ. თბილისი, თოფურიას 12
ტელეფონი: 232 83 60, 232 82 60
საიდენტიფიკაციო კოდი: 204859750

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი”-ს ვაკე-საბურთალოს ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
ა/ა: GE38LB0121191690252000

სკოლის დირექტორი
გულნაზ ხორბალაძე

მიმწოდებელი:

შპს“ სიბრძნის კარი “
მის.: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 2 კვ #63,კ 35
ტელეფონი: 2 945527
საიდენტიფიკაციო კოდი: 406045202
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს.“ საქართველოს ბანკი“
საბანკო კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE98BG0000000895307300

დირექტორი
ჯულიეტა ჭელიძე

ლიბერთი ბანკი

2

LB-00000149973

საგადახდო დავალება # 279

2016 წლის 21 დეკემბერი

GEL

480,00

თანხა სიტყვიერად

ოთხასოთხმოცი ლარი

გადამხდელის დასახელება: სსიპ ქალაქ თბილისის 128 საჯარო სკოლა

გადამხდელის ანგარიში GE38LB0121191690252000

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება: სსიპ ქალაქ თბილისის 128 საჯარო სკოლა

საიდენტიფიკაციო კოდი: 204859750

ბანკის აღნიშვნები

მიმღები დასახელება: შ.პ.ს. "სიბრძნის კარი"

შესრულების თარიღი: 21.12.2016

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: GE98BG0000000895307300

მიმღების ბანკი/ხაზინა სს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22

ბანკში შემოსვლის თარიღი: 21.12.2016

საიდენტიფიკაციო კოდი: 406045202

გადახდის დანიშნულება: გ. დოჩანაშვილის - სამოსელი პირველი 20 ცალი

დამატებითი ინფორმაცია: ხელშეკ # 56 21,12,2016 წ ინვოისი 21.,12,2016 წ მიღება-ჩაბარ # 93 22,12,2016 წ

ხელმოწერა:

ბ.ა.

ხელმოწერა:

შტამპის ადგილი